საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 27 ივლისის

დადგენილება № 2534

აკადემიური პერსონალის საკონკურსო
კომისიების სამდივნოების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-9 მუხლებისა და „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საკონკურსო განცხადებების მიღებისა და კომისიების საქმიანობისთვის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას სტუ-ის აკადემიური პერსონალის საკონკურსო კომისიების სამდივნოები (ტექნიკური ჯგუფები) შემდეგი შემადგენლობით:

ა) მშენებლობის და აგროინჟინერიის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 1-დან 19-ის ჩათვლით, 166, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №421, 422, 423):

- დავით სამხარაძე, ჯგუფის უფროსი;
- თამარ არუნაშვილი, არქივარიუსი;
- ქეთევან შავიძე, სპეციალისტი;
- ნინა ნარიმანიძე, სპეციალისტი;
- თამარ ბაკარაძე, უფროსი სპეციალისტი;

ბ) ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 20-დან 38-ის ჩათვლით, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №522):

- ია მონასელიძე, სპეციალისტი;

გ) ტელეკომუნიკაციის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 168-დან 178-ის ჩათვლით, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №567):

- ზეინაბ კუხიანიძე, სპეციალისტი;

დ) ტრანსპორტის, მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიების დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 72-დან 84-ის ჩათვლით, 86-დან 106-ის ჩათვლით , 159, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №574):

- მანანა კოპლატაძე, უფროსი სპეციალისტი;
- თამარ შუბითიძე, სპეციალისტი;

ე) ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 53-დან 71-ის ჩათვლით, 85, 155- დან 158-ის ჩათვლით, 161-დან 165-ის ჩათვლით, 167, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №403, 405):

- მანანა ბუბაშვილი, ლაბორანტი;

- მანანა კუკულაძე, ლაბორანტი;

ვ) სამთო-გეოლოგიის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 39-დან 52-ის ჩათვლით, 160, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №301, 302):

- ნინო ტაბატაძე, უფროსი ლაბორანტი;

ზ) ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 142,143, 145-დან 148-ის ჩათვლით, 150-დან 154-ის ჩათვლით, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №571, 572):

- ირმა შალაშვილი, მთავარი სპეციალისტი;
- ლალი კაკაშვილი, მთავარი სპეციალისტი;

თ) არქიტექტურისა და დიზაინის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 107-დან 115-ის ჩათვლით, 233, 234, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №403c):

- რუსუდან სვანიძე, მთავარი სპეციალისტი;
- თეა შაბურიშვილი, უფროსი სპეციალისტი;
- სოფიო ბიბილაური, უფროსი სპეციალისტი;

ი) ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 116-დან 136-ის ჩათვლით, 144, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №607):

- მარგალიტა გოგია, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი;
- მაია ზარანდია, მთავარი სპეციალისტი;
- ნინო სილოგავა, სპეციალისტი;

კ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 137-დან 141-ის ჩათვლით, 149, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №418, 419):

- ანა თათულაშვილი, მთავარი სპეციალისტი;
- მარიამ მუშკუდიანი, არქივარიუსი;

ლ) ფიზიკისა და მათემატიკის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 179-დან 189-ის ჩათვლით, 225-დან 232-ის ჩათვლით, სტუ-ის I კორპუსი, ბიბლიოთეკა):

- თამარ ფირცხალავა, სპეციალისტი;
- ნინო ჭულუხაძე, მთავარი სპეციალისტი;

მ) ინფორმატიკის, მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგობრივი კომისიის სამდივნო (საგანთა ჯგუფები 190-დან 224-ის ჩათვლით, სტუ-ის I კორპუსი, ოთახი №515, 516):

- ნინო ჭაფოძე, სპეციალისტი;
- მერი ხარაული, სპეციალისტი;
- თენგიზ ქრისტესიაშვილი, ინჟინერ-პროგრამისტი.

2. დარგობრივი კომისიების სამდივნოებმა უზრუნველყონ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე